ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება (მემორანდუმი)

ქ. თბილისი 21 ოქტომბერი 2010 წელი

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში სააგენტო) წარმოდგენილი სააგენტოს თავმჯდომარის ბატონ ტატო ურჯუმელაშვილის სახით და ააიპ "ინფორამციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" (შემდგომში ინსტიტუტი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბატონ გიორგი კლდიაშვილის სახით, კეთილი ნების საფუძველზე, დებენ წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებას (მემორანდუმს) შემდეგზე:

1. შეთანხმების (მემორანდუმის) საგანი

1.1. წინამდებარე შეთანხმების (მემორანდუმის) საგანია, საზოგადოებრივ საწყისებზე, არაკომერციული მიზნით, მხარეებს შორის ნებაყოფლობითი თანამშრომლობა, გამოცდილების და პრაქტიკული ცოდნის გაცვლა, სააგენტოს ოფიცილურ ვებ-გვერდის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად რეკომენდაციების მიწოდება და სხვადასხვა სახის საკონსულტაციო-სარეკომენდაციო საქმიანობით ურთიერთდახმარება, ასევე, მხარეთა კომპეტენციის ფარგლებში მიმიდინარე და სამომავლო საქმიანობებში მხარდაჭერა და დახმარება.

2. შეთანხმების (მემორანდუმის) მიზანი

2.1. ინსტიტუტის რესურსების გამოყენებით, ხელი შეეწყოს სააგენტოს მიერ დაწყებული საქმიანობის გაუმჯობესებას და სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის სტრუქტურისა და ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

მხარეთა კომპეტენცია

2.2. ინსტიტუტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საკუთარი რესურსებით, საზოგადოებრივ საწყისებზე სააგენტოს გაუწევს დახმარებას წამოწყებულ საქმიანობაში კონსულტაციების გაწევითა

და რეკომენდაციების მიწოდებით, ასევე კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობით, რომელიც ითვალისწინებს სააგენტოს ვებ-რესურსის (ოფიციალური ვებ-გვერდის) გაუმჯობესებას მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად;

2.3. სააგენტო თავის მხრივ გაეცნობა და სურვილისა და ნების შემთხვევაში გაითვალისწინებს და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენებს ინსტიტუტის მიერ მიწოდებულ რეკომენდაციებს.

მხარეები

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
თავმჯდომარე ტატო ურჯუმელაშვილი	დირექტორი გიორგი კლდიაშვილი